ᲙᲘᲠᲐ 5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1916 Წ. ფასი 12 კაპ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლდას ქუჩა № 6.

ᲔᲨᲛᲐᲙᲕᲘᲠ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 23

ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ

მოხუცი. მე შედარებით ბედნიერი ვარ. ხელობა ვიცი. ჩემს მეზობელს შიმშილით ძაღლი მოუკვდა, გავატყავე და აი ეს ქალამნები შევიკერე.

„მანდილოსანი“. რა დაგიჯდათ?

მოხუცი. მკვდარ ძაღლში შვიდი მანეთი გადვიხადე. გატყავებისა და ტყავის გაწკიპარტება გაშრობის კიდევ ნ მანეთი, წვრილმანი მასალა 3 მანეთი. ქალამნები სულ რაღაც ოციოდ მანეთი დამიჯდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიამოვნო ამბავი.

ბაქვს პატივი ვაუწყო ქართველ საზოგადოებას, რომ „ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების“ გამგეობას ფრიად კეთილი და გონივრული რამ განუზრახავს:

— საქმე შეეხება საყვარელი მგოსნის **აკაკი წერეთლის** საფლავის დაბლა ჩამოტანას. ზამთრობითაც გასაკვირია, არა თუ ზაფხულის სიცხეში, მთაწმინდის აღმართის შედგომა და მამა დავითის ეკლესიაზე ასვლა ძვირფასი საფლავის სანახავად. ამ თავგანწირული მოგზაურობისათვის საჭიროა პლატონიური სიყვარული და არა ქართველური. აი ამ მოსაზრებით გადაწყვეტილი ზემოხსენებული საზოგადოების გამგეობას მგოსნის სასაფლაო ქვევით ჩამოიტანოს და ამ სიმპატიური განზრახვის სისრულეში მოსაყვანად უსარგებლია იმ ბუნებრივი ძალით, რომელსაც მთაწმინდიდან დაქანებული ცოფიანი **ნიაღვარი** ეწოდება.

ნიაღვარს ჯირ-ჯერობით მხოლოდ სასაფლაოს ზედა პირი წამოუღია და იმედია ორ-სამ გზობაზე სრულიად ჩამოიტანს, დაახლოვებით საჩაიე „ძმური ნუგეშის“ რაიონში, სადაც ამდენი ქველმოქმედი ქართველი საზოგადოება იყრის თავს.

პატივისცემით **ეშმაკი.**

მოსალოდნელი წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! „ეშმაკის მათრახის“ მე-23 ნომერში მოთავსებული იყო საზიზღარი წერილი ვიღაც ეშმაკისა, თუ უხილავისა. არ ვიცი რათ დასჭირდა ბ-ნ ეშმაკს განძრახ გადამახინჯებული ცნობის მიწოდება და მით საზოგადოების მოტყუება.

საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას აზრათაც არ მოსვლია საყვარელი მგოსნის საფლავის დაბლა ჩამოტანა და ეშმაკისაგან ეს ეგ. ეშმაკს არ მიუნდვია ასეთი პასუხსაგები საქმე **ნიაღვრისათვის.** შეიძლება ბატონმა ნიაღვარმა ჩვენდა დაუკითხავად იკისრა ეს, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, თქვენი თანამშრომელი ბ. ეშმაკი განზრახ თხზავს ამ ამბავს და არავითარი ცვლილება სასაფლაოზე არ მომხდარა. ნეტავ როდის მოეღება ბოლო თქვენს ჟურნალში ბ. ეშმაკის ამგვარ ინსინუაციებს და ფაქტების გადამახინჯებას.

საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოების **გამგეობა.**

მოსალოდნელი პასუხის პასუხი.

ბ-ნო რედაქტორო! მე მწუხარებით გადავიკითხე საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობის პასუხი მიმართული ჩემი წერილის წინააღმდეგ. პატივცემული გამგეობა ან სრულიად არ იცნობს საკმათო საგანს, ან განზრახ ამახინჯებს ჩემი წერილის უტყუარ ფაქტებს. მისი პასუხიდან აშკარათ სჩანს, რომ იგი გაურბის ჩემი წერილის არსებითსა და დადებითს მხარეს და ამხედრებულია კერძოთ ჩემი პიროვნების წინააღმდეგ.

ყოველივე იმას, რაც მე ჩემს პირველ წერილში მოგახსენეთ და რაც ჩემს მოწინააღმდეგეთ არ უარუყვიათ, მსურს დავსძინო შემდეგი:

მგოსანი აკაკის სასაფლაო ჩემი შეხედულებით უნუგეშო მდგომარეობაშია, მუხის ბოძები დამპალ-დაძველებულან და თვით საფლავიც უფრო მეოვრამეტე საუკუნის ნაშთს მოგაგონებს, ვიდრე გუშინ გაჭრილ სამარეს.

პატივისცემით **ეშმაკი.**

მოსალოდნელი პასუხის პასუხის პასუხი.

ბ-ნი ეშმაკი არა სცხრება. არ იკმარა წინეთ შეთხზული ინსინუაცია და ძველს ახალი დაუმატა, თითქო მეკორეობაში მას ვინმე ეცილებოდეს. ახირებულია სწორეთ! მისი პირველი ტყუილები ჩვენ

საფუძვლიანათ დავარღვიეთ წინა წერილში და ახლა იძულებული ვართ კბილი გავუსინჯოთ მის მეორე ცილისწამებას.

ბ. ეშმაკი ბრძანებს: „მგოსნის სასაფლაო (თუ საფლავი) უნუგეშო მდგომარეობაშია. იგი მეთვრამეტე საუკუნის ნაშთს მოვეგონებსო“. არა თუ ისეთი დილეტანტი, როგორიც ბ-ნი ეშმაკი ბრძანდება, იხტორიული ნაშთების შესახებ უფრო წინდახედულებსაც ეთქმის საყვედური. რა იცის ბ-ნმა ეშმაკმა, თუ ყოველივე სასაფლაო ძვირფასია, როგორც ისტორიული ნაშთი და მით უფრო ძვირფასი, რამდენათაც უძველესი.

ბ-ნ ეშმაკს არ მოეთხოვება ამის ცოდნა, მაგრამ პატივცემულ რედაქციას კი უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენი საზოგადოება ყოველივე ნაშთს ამ თვალსაზრისით უყურებს და კიდევაც იმისთვის არ მოურთავს მგოსნის საფლავი დროებითი სამკაულით.

იკმარეთ ბ-ნო ეშმაკო ჭორები.

ქ. ს. საეტნ. საზ. **გამგეობა.**

მოსალოდნელი უკანასკნელი სიტყვა.

მე დაუმსახურებლათ მიმაჩნია ქ. ს.-ს. ს. გამგეობის შეუფერებელი კილოს წერილი ჩემს წინააღმდეგ. დინჯსა და დამსახურებულ (გარეშე აკაკის საფლავისა) საზოგადოებას უთუოდ მეტი ტაქტი და მოპირდაპირის პატივისცემა მოეთხოვება.

კითხვის გამოსარკვევათ მე ვიწვევ სამედიტორო სასამართლოში აღნიშნულ გამგეობას და ჩემის მხრით ვასახელებ პატივცემულ სოსიკო მერკვილაძეს. ვადას ვაძლევ დღიდან ამ წერილის გამოცხადებისა ერთ კვირას. განაჩენი უნდა დაიბეჭდოს ყველა გაზეთებში და თვით მგოსნის, აკაკი წერეთლის, თხზულებათა პირველ ტომში, თუ მის გამოცემას როდესმე ხელს მოჰკიდებს აღნიშნული საზოგადოება.

ეშმაკი.

მოსალოდნელი პასუხი უკანასკნელი სიტყვისა.

სიამოვნებით ვეთანხმები ბ. ეშმაკის წინადადებას სამედიატორო სასამართლოს შესახებ და ჩვენის მხრით ვასახელებთ იმ მოლოზონს, რომელსაც აბარია ი. ჭავჭავაძის საფლავის მოვლა.

ამასთანავე საჭიროა მცირეოდენ შევეხოთ ბ-ნი ეშმაკის უკბილო ოხუნჯობას აკაკის თხზულებათა გამოცემის შესახებ. აშკარაა მგოსნის ნაწარმოებთა პირველ ტომში უნდა დაიბეჭდოს პოეტის ნაწარმოები და არა სამედიატორო სასამართლოთა დადგენილებანი. ამასთან ერთად შეიძლება იმ ტომის გამოსვლამდე ათი გამგეობა გამოიცვალოს და საიდან შეგვიძლია ჩვენ ეშმაკის პირობა მივიღოთ.

ქ. ს. ს. ს. **გამგეობა.**

მოსალოდნელი განაჩენი.

სამედიატორო სასამართლომ იქონია რა მსჯელობა „ეშმაკის მათრახის“ თანამშრომელ ბ-ნ ეშმაკისა და ქ. ს. ს. ს. გამგეობის შორის ამტყდარ დავიდარაბის შესახებ დაადგინა:

ა) არ შეიძლება ითქვას ბ-ნი ეშმაკის მიერ მოთავსებული წერილი „სასიამოვნო ამბავი“ სიმართლეზე არ იყოს დაფუძნებული.

ბ) არ შეიძლება ითქვას, რომ პასუხი ქართულ საისტორიო საეტნოგრაფიო საზოგადოების გამგეობისა სიცრუე იყოს და არა სამართლიანობით გამოწვეული.

თავმჯდომარე ნ. კალანდაძე.

მედიატორენი { 1 სოსიკო მერკვილაძე.
2 მოლოზონი X *).

*) „ეშმაკის მათრახის“ რედაქცია ამით საბოლოოთ სპობს ამ საგანზე კამათს.



განცდა

— „ამხანაგო! (მწერდა იგი)
ეს პატივი კიდევ მეცი,
ამასთან რომ ბარათია
იგი ჩემს ცოლს გადაეცი.

—

საპასუხო მისამართიც
ჩემი შენვე დაუწერე
და თუ რამე ხიფათია
ჩემს ოჯახში, შენ მომწერე.

—

არ მასვენებს სიბრალული
უპატრონო ოჯახისა,
ვერც გავიგე მათი ბედი
და მაწუხებს მხოლოთ ისა,

—

რომ ცოლი მყავს მარტო ხელა
ძუძუს ბავშზე გადამკიდე,
იქნებ უკვე დაიხოცნენ
და მე კიდევ ცოცხლათ ვსთვლიდე.

—

სხვა რა გითხრა აქაური
ხოცვა, ჟლეტა, ცრემლ-სისხლს გარდა
აღარ ვფიქრობ მომავალზე,
დამავიწყდა რაც მიყვარდა.

—

თუმცა ვფიქრობ, საქციელი
ჩემი ძლიერ გგიკვირდეს,
მარა მსჯავრიც **იმან** ლამდვას,
ვისაც ჩემი ბედი სჭირდეს“.

—

ეს წერილი, რამდენჯერმე
გადავითხე სრულის გრძნობით,
თავი ვიგრძენ იმავ კაცად
თქვენ ამაში თუ მენდობით.

—

მარა მაინც მოსაზრებას
ჩამოეშვა შავი ფარდა
და ვიფიქრე: „ნუ თუ მართლა
დავიწყდა რაც უყვარდა?!

—

ნუ თუ მართლა აღარ ფიქრობს
მომავალზე ამხანაგი!

შეაფურთხა წმინდათ წმინდას,
დავიჯერო მისგან აგი?

—

მარა თანვე მის წერილში
ხაზ-გასმული მომგონდა
მის შესახებ, რომ მსაჯულის
მე უფლება აღარ მქონდა,

—

რადგან იგი, მის ბედში მყოფ
მსაჯულს საქმეს შიანდობდა
და მის ამგვარ მოთხოვნასაც
უკანონოთ ვერვინ სცნობდა.

ამ დროს, თითქო შეთქმულივით,
შემოვიდა ცოლი მისი,
ძაძა-ფლასში გახვეულსა
მწუხარება ახლდა თვისი.

—

რა შევხედე, დავიბენი,
მწუხარების მეცა ელდა,
გრძნობამ სძლია ჩემს გონებას
და თვალებიც შემიბნელდა.

—

სიჩუმე მან დაარღვია,
მდაბლათ თავი გადმოხარა,
„სანდროს წერილს ველოდიო“,
თვალი თვალში გამიყარა.

—

მე წერილი გადავეცი
და მიზეზი ვკითხე ბლოვის,
მან სურათით მიპასუხა
მის ერთ შვილზე გამოთხოვის

—

და ამ სურათს ჩემი ხსოვნა
სამარეში ჩაიტანდა,
იმით მივხთი, რომ შვილის ხატს
დედის ცრემლი ხელზე ბანდა.

ბუტუნა.

დეპეშები

(ბუტუნის საგენტო).

ფოთი. რადიო ტელეგრაფის „ვონვედის“ უფროსი ბ-ნი „მხიფავი“ მთავარ სადგურს ატყობინებს, რომ მან დაიწყო სასულიერო უწყების რევიზია და ახლო მომავალში სისტემატიურად მოგვაწვდის სენსაციურ ცნობებს.

—

სადგურ „მზერავი“-ს უფროსი ბ-ნი „თვალთმაქცი“ იტყობინება: „პატარა ფოთში ახალი სასოფლო არჩევნები (ოცის თავები) ხალხმა უარჰყო, რადგან ამაში გურულების ბოროტ-განზრახვა—ძველებური „ითისთვობა“ და ახალთვობა შეამჩნია. ის პირი, რომელიც ურჩევდა ხალხს ოცისთავები აირჩიეთო, მავნე პირად იქმნა ცნობილი და იძულებული გახდა გადასახლებულიყო ქ. ფოთში“.

—

სადგური „დიაცი“-ს გამგე ქ-ნი „როკაპი“ გვატყობინებს: „ქ-ნი აგენტისა, რომელიც ამას წინათ აფიცერს გაჰყვა „სამეცადინოთ“, დაბრუნდა ფოთში და შუამდგომლობს ისევ აგენტთან მორიგებაზეო.

—

სადგურ „თიღისმის“ უფროსი ბ-ნი „გულთმისანი“ წინასწარიეტყველობს: 1) მუშის წარმოადგენლები, რომლებიც 2 პაის ღებულობენ ადგილს დაჰკარგავენო. 2) კოოპერატივი „ეკონომია“ დაჰკარგავს რამოდენიმე ას მანეთს იმ ნისიიდან, რომლის ჩათვლით შარშან 1200 მანეთი „მოიგო“. 3) მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი ტყემალაძე თავგამოდებით იცავს ვაჭართა ანტერესებს, მომავალ არჩევნებში მაინც გაშავდებაო“.

—

მთავარი სადგურის ცნობით: ჟურნალ-გაზეთების კიოსკში მოხდა პრაპორჩიკსა და ჭაღარა მეგაზეთეს შორის საპოზიციო ბრძოლა, რაც გამოიწვია გაზეთ „კავკ. სლოვო“-ს მეორე დღით მიღებამ. ტრადიკომედია ვერ შესდგა, მსმენელები მარტო კომედიით დაკმაყოფილდენ.

—

იქიდანვე. რაინდი იმდეიშვილი გასამართლების დღეს მივიდა ამასწინეთ მისგანვე გალახული სალაქვაძის ნოქართან და სთხოვა სასამართლოში საქმის მოსპობა, რადგანო, „ეროვნულ ტალეიშვილი, „დანაშაული ხაზინ-მიკიტნებმა—ბეგლარ-ბეგებ-ჩაგიდიანნეო“. ნოქარმა აპატივა იმდეიშვილს დანაშაული, მარა პირობა დაადებინა, რომ შემდეგში კიდევ არ გალახოს ხსენებული ნოქარი და თუ ვერ მოითმინოს „უღვანობა“ და გალახოს, დარიგება აღარ სთხოვოს.

—

ქუთაისი. ახალგაზრდა ვაჟთა მიხედვით ადგილობრივმა ქალიშვილებმაც შეადგინეს რამოდენიმე გუნდი ქუჩაში მომღერალ ავსულთა*). ცხადია აქ ქალ-ვაჟთა თანასწორობის საკითხთან გვაქვს საქმე. ტყვილათ ხომ არ ამბობს ქართული ანდაზა:

„მორცხვი ქალი,—ერთ ქალაქად,
მორცხვი კაცი—ერთ ქალამნადო“.

—

ხაშური. გზათა მინისტრმა ფიცხელი განკარგულება მოახდინა: დაუყოვნებლივ გაფართოებულ იქმნას ადგილმბრივი რკინის გზის სადგურის პირველი კლასის დარბაზი, ვინაიდან ის უკვე ვეღარ იტევს ხაშურის მოსწავლე ახალგაზრდობას.

— დრამატიული საზოგადოების გამგეობა პირველ მაისიდან მოყოლებული მუდამ დღე სდგამს ი. გედევნიშვილის „გამცემს“ მშვენივრად მორთულ ოცნების კოშკში.

ვარდენიშვილი.

—

თელავი. თელავის სტრაჟნიკებს ღამის ორ საათზე შეტაკება მოუხდათ ტელეგრაფის ბოძებთან. მსუბუქათ დაიჭრა ორი ბოძი. ყაჩაღები მართულებში გამძვრალიყვენ და დეპეშით გაპარულიყვენ.

— თელაველმა მგოსანმა გ. ზამეკოვმა გამოსცა მეთვრამეტე ტომი თავის „თხზულებათა“. ბ-ნ სუკაჩოვს განზრახვა აქვს გამოცემა საკომისიოთ შეიძინოს, ქაღალდის პარკები დაიკეთოს და მით „ნაწარმოებს“ ფართე ბაზარი მოუპოვოს.

---

*) ეს სამწუხარო შეცდომა სრულად ბ-ნ კორექტორს მიეწერება, რომელმაც ვერ შენიშნა უალგო ალაგას ჩაჩრილი „ვ“-ინი და „ასული“—„ავსულათ“ გადაამახინჯა.

ინდოური და გუ.

ინდოურმა ფუღეროში
ჭყეტელა ბუ დაინახა.
— „უჰ, რასა ჰგავს საძაგელი“,
ამპარტავნად დაიძახა.

და მიმართა გაფხვირულმა:
—„გადმოჰხედე სანახავსა, —
ნახე ჩემი კოხტა თავი,
შენს ბოხვერას სულ არ ჰგავსა“.

ბუმ მიუგო:—„შენი თავი
ლამაზია მეტის მეტი,
მაგრამ ტვინი ცოტა გიძევს
მით შტერი ხარ და ცერცეტი“.

მ. ველისცახელი.

გაება ვირთხა!

სცენა 1 მოქმედებათ.

(ჭიათურისათვის)

მომქმედნი პირნი:

მიხა ესტატიჩი—ვაჭარი, ახოვანი და ლამაზი ვაჟკაცი.
საყვარელა—მეთორნე რაჰველი.
აბდულა—ყურტნიანი მუშა.
ბოქაული და ექვსი მოქალაქე მოწმე.

მოქმედება სწარმოებს დ. ჭიათურაში, მიხას მაღაზიაში.

გამოსვლა 1.

მიხა მარტო.

მიხა. (ღამეა. კარებ ჩაკეტილ დუქანში ზის და მეორე დღისთვის გეგმას აწყობს, თუ ვინ უფრო რიგიანათ გაყვლიფოს. შემდეგ გადაჰხედავს სიმღიდრეს და სახე გაბრწყინვებული გიჟივით იცინის). ხა, ხა, ხა, ხა! ვინ შემებრძოლება ვინ! ვინ რას გამიბედავს, მე, ოქროს მეფეს?! მართალია ოდესღაც შიშველი და ცარიელი ვიყავ, მაგრამ დღეს ჭიათურის მბრძანებელი ვარ. ამ ქვეყნის აღვირი მე მიჭირავს ხელში და საითაც მსურს იქით უკრავ თავს ყველას: ხალხსაც, ბაბრეს დეპუტატებსაც, აკალიშნიკს და [illegible] ბოქაულსაც. ბევრჯერ დამიწერა ბოქაულმა ნიხრი, მაგრამ ვერ მივართვი პატრიჟანი! ჩემ ნიხრს მე უკეთ დავწერ. ნიხრი! ხა, ხა, ხა, ხა! თქვენ ნუ მომიკვდებით აღარ დაგიშლით და ნიხრზე მოგართმევთ! მაშ რის ვაჭარივარ, თუ დროით არ ვისარგებლებ! ქვეყანა დუმაა და მეც ვთლი და ვთლი სანამ ძვალზე არ დავალ. ბევრჯელ გამიკეთეს „ობისკი“, მაგრამ ვერა, ასე არ ტყუილდება მიხეილ ესტატიჩი. ისე მაქვს ქსელები ეშმაკურ დახლართული, როგორც ლიმენცური პალეოი ტილიფონის სინები. სანამ საობისკოთ წამოვიდოდენ, მანამ მე უკე ვიცი ყველაფერი. შაქარიც მაქვს, ფქვილიც, საპონიც... (ისმის რახუნი) აი, ეს უსათუოდ საყვარელა იქნება. ალბათ ფქვილი უნდა. (ბიკს) ბიკო გაუღე კარები. (შემოდის საყვარელა).

საყვარელა. ქვე რავა გიკითხო მიხეილ ხაზეინ?

მიხა. სამასლაათოდ არ მცალიან. სთქვი რა გინდა?

საყვარელა. ქვე ფქვილი მინდა წყვიღო.

მიხა. ჰო, ჩემო საყვარელა, ჩუმათ წეიღე არავინ დეინახოს. ეს ერთი მეშოკი მაქვს და ხეირი ნახე.

საყვარელა. (ღიმილ-ით) ქვე კი აძრობ ყოველ დღე ამ მეშოკებს იმ ტუნელიდან და...

მიხა. (შეუყვირებს) ხმა, კრინტი არ დასძრა არსად, თვარა სამუდამოთ გაგიცოებ იმ შენ თორნეს, თუ მიხეილ ესტატიჩი ვარ. ჰა, მეიტა ფარა.

საყვარელა. ხაზეინ, სამი თუმანი ძვირია...

მიხა. (შეუყვირებს) რაიო? შენ რა გენაღვლება, ოუწეე ფასს.

საყვარელა. ქვე რავა უნდა გავყიდო გირვანქა, შე დალოცვილო!

მიხა. სამი მაური, აბაზი. რავა მუშტარი არ გეყოლება თუ! ხომ ხედავ ორი კვირაა ჭიათურაში ქატოსა და ტალახსა სჭამენ. შენს მეტს არავის ექნება თეთრი პური და როგორც გინდა ისე გაყიდე. საწყალი კაცი ხარ, მინდა რომ ერთი ორი გროში შენც მოიგო და იმიტომ გაძლევ ასე იაფათ. ჰა, მოიტა სამი თუმანი. (მუშას ეძახის) აბდულა! წოუღე ეს მეშოკი საყვარელას. (საყვარელა ფულს აძლევს და მუშას გაყვება უკან.

საყვარელა. (კარებში) ხაზეინ, თუ მიშოვი კიდო ერთ მეშოკს...

მიხა. ჰო, მოდი და ვნახოთ. მხოლოთ ღამე მოდი. არავინ გაიგოს შენი მოსვლა იცოდე.

საყვარელა. კი, ბატონო. ჩორნი ხოდიდან მევიდე?

მიხა. არავინ გაიგოს, თორემ ვაი შენს ტყავს.

საყვარელა. კი, ბატონო, კი შენი ჭირიმე. (გადის).

მიხა. უყურეთ ამ ბებერ ქოფაკს, მევაჭრება კიდეც! (მიიხედ-მოიხედავს) მეფე ვარ, მა'შ რა ჯანდაბაა. უთვალავი საქონელი მაქვს და მუშტრები აქეთ მეხვეწებიან. (იცინის) ხა, ხა, ხა, ხა! დიდი ეულიკი კი ვარ აი! ის „ეშმაკის მათრახის“ კორესპონდენტიც ხომ მოვიმადლიერე. ორი გირვანქა შაქარი სახლიდან ჩამოვატანინე და ისე მივეცი. მთომ დუქანში არ მქონდა და ძმა-კაცობა გაუწიე. ის ეხლა ხელში მყავს, ის ჩემზე არაფერს დვსწერს. ერთი სიტყვით კრუგომ გაჩისტული მაქვს საშმე. (ისმის რაიხუნი) ნეტავ ვინ უნდა იყოს?!! (შეშინებული მივა კარებთან) ვინა ბძანდებით?

ხმა კარგან. „ოტკროი დვერ, მერზავეც!“

მიხა. ვაიმე, ეხლა კი გავები ვირთხასავით მახეში. ეს ნამდვილათ პრისტავია!

ხმა. „სკორეი, ტი ნეგოდიაი!

მიხა. ოჰ, საყვარელა, ეს სულ შენი ოინებია და მე მიხეილ ესტატიჩი არ ვყოფილვარ, თუ არ გადაგიხადო სამაგიერო, (კარს გაადებს და შემოვლენ: მუშა აბდულა ფქვილის ტომრით ზურგზე, საყვარელა, ბოქაული და ექვსი კაცი მოწმე).

ბოქაული. (მიხას) როგორ მიჰყიდე შენ ამას ეს მეშოკი ფქვილი?

მიხა. (დაბნეულათ) მე... მე... მე, გასპადინ პრისტავ, ოცი მანეთი გამოვართვი.

ბოქაული. მართალი სთქვი, თორემ გაგაციმბირებ, შე ავაზაკო, შენა!

მიხა. (საყვარელას თვალით ემუქრება) მე... მე... მოგახსენებთ... 20 მანეთი ავიღე, 18-თ ნაყიდია.

ბოქაული. (აბდულას) მითხარი შენ ყველაფერი მართალი, თორემ ხომ იცი!

აბდულა. მე, გინიაზ, ვალლა მართალი უთხარამ. მიხაკო ხაზეინ ჩემთან ფირიკაზანია გააკეთა მე ღამე არ დაიზინოს. როდის მუშტარი მოვიდა, მე უნდა ქვილი ზაიღო.

მიხა. არა, სტყუის გოსპოდინ პრისტავ...

ბოქაული. „მალჩატ!“ (აბდულას) რას ეხდევინებს მეშოკში?

აბდულა. იტირისიტ რუბლი.

ბოქაული. მართლა?!

აბდულა. ვალლა, მართალი უთხარია გინიაზ.

მიხა. ტყუილია, ბატონო, ტყუილი ..

ბოქაული. „მალჩი, ია ტებე გოვორიუ!“

აბდულა. (მიხას) მიხაკო ხეზეინ შენთან კაი კასი არ არის. მე როდის დდუილი უთხარია!

ბოქაული. (მიხას) „პოვესიტ მალო ტებია მერზავეცა“! მითხარი ჩქარა სადა გაქვს შაქარი საპონი.

მიხა. მე... მე... ვინ მამცა, ბატონო, საპონი!

აბდულა. (ბოქაულს) დდუილია, გინიაზ, ზაპონი და არია მაგასთან, შაქარი და არია, მარილი, ბრინეი, ი სიფიჩი, სულ კელაფერი არია.

მიხა. (უბდვერს აბდულას) სტყუის, ბატონო, სტყუის.

ბოქაული. „ნუ-კა ობიშჩემ. (სტრაჟნიკები, ბოქაული და მოწმეები ათვალიერებენ და აღმოაჩენენ 21 ყუთს ტოლეს საპონს, ტომრებით ფქვილს და სხვა აუარბელ გადამალულ საქონელს). ეს რა არის, შე რაზბონიკო, შენა?!

მიხა. (იბნევა) მე... ბატონო, არ ვიცი, მე...

ბოქაული. (სტრაჟნიკებს) „ვზიატ ეგო ვ უჩასტოკ (სტრაჟნიკებს მიჰყავთ მიხა).

აბდულა. (მიხას) ვაალლა, შენთან ახია კოლაფერი. შენ ჩემთან მუშის ფული არ მოსცემი. შენთან სირსხვილი არ არის! ფუ, ქართანლალა ქოფოღლი.

მიხა. ბატონო მე... მე...

ბოქაული. „იდი“.

აბდულა. (მიხას) მე, მე, რა მე! იტირისიტ რუბლი ბირ მეშოკ, შენთან ნამუსი არ არის! ფუ, დურაკ.

უშეკანი. გაება ვირთხა მახეში. (საერთო სიცილია).

გოგია.

„ღალატი“ სახაზინო თეატრში 30 მაისს.

სულეიმან ხანი. შაჰინ-შაჰ მადლიერი იქნება მხევალისათვის.
გაიანე. (გულახდილათ) არასოდეს, არასოდეს, არასოდეს...

რა მმართებს ვიყო!..

დავჯექ, დავფიქრდი: ქვეყნისთვის
რა უფრო მარგებელია?
რა ააყვავებს ქვეყანას,
შევსძინო სარგებელია,
რით მოვაშორებ ჭირ-ვარამს,
რით ვიყო მისი მხსნელია,
რა მმართებს ვიყო ხელობით,
რომელს მოვკიდო ხელია?

—

ვიყო ქვეყნისა მფლობელი,
მმართველი, გამგებელია,
მისი ერთგული დარაჯი
ლარიბ-ღატაკთა მცველია,
თუ ვიყო სულის მოძღვარი,
სამოთხის გამღებელია,
გზა მართლის მაჩვენებელი
ცოდვილთა გამკურნველია?

—

არა, მე ამას ვერ ვიზამ,
ეს მე არ შემეფერება!..
(თუ გინდ შევიქმნე კიდეცა
არავის დაეჯერება).
ახლათ დავფიქრდე. ნატვრისთვის
მიჯობს მცირე ხანს ჩერება...
(და თუ ვისურვე ესენი
სირეგვნეთ მომეწერება).

—

მოსამართლობა შემფერის
სამართლის გადამჭრელია,
მალე შევიტყობ, გარედან
ვინც-კი შიგნითგან ჭრელია,
ვიყო ვექილი, მეტყველი,
ხელთ ვიგდო კაცის მკვლელია,
მართალი შივსცე სასჯელსა,
დავიხსნა დასასჯელია...

—

მკურნალი ვიყო გულქვაი
სნეულთა გამყვლეფელია,
ჭირთან უმალეს, სიმდიდრეს
ავადებინო ხელია...
ქალაქის თავი რომ ვიყო
ეგ უფრო სასურველია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაგვაკლდება შაქარი,
პური, ერბო და ყველია.

—

მოდი გაეხდები ვაჭარი
ნება-რთვით გამძარცველია,
იაფათ ვიგდებ, თუ შემხვდა
რაიმე სასყიდელია,
მაგრამ, ვაი მას, ვინც ჩემი
მუშტარი და მყიდველია.
ომია ირგვლივ ფიცხელი
შემთხვევით ჩვენი რთველია.

—

თუ ვიყო პოლიციელი
ეგ დარჩეს ხელსაყრელია...
დაე მიწოდონ მეკრთამე
ხარკების ამკრეველია.
ბაზრის აგენტიც კარგია
ჩუმ-ჩუმათ გადამკვრელია,
სუკი, თევზი და სხვა ბევრი
გარნალა საკითხველია?

—

რედაქტორობა სჯობიან,
პრტყელი სიტყვების მთქმელია.
თანამშრომლებიც თუ კი ჰყავს
მისებრივ საქმის მქნელია,
ესეც კი იცის ხან და ხან,
თუ საქმე შემოელია,
ერთი კალმისა მოსმითა
ღვიძლ ძმათა წამკიდველია.

—

ვფიქრობ, თან ვამბობ: ეს ყველა
ჩემთვის ძალიან ძნელია,
ვარ და განვაგრძობ, ვიქნები
მუშაკი ოფლის მღვრელია.
ხან და ხან გასართობათა
„მათრახის“ მხმარებელია,
გავკრა და გავატკაცუნო
ნაწნავი ერთობ მწველია.

—

გთხოვ მომიტეო, ეშმაკო,
ლეგსი თუ ცოტა გრძელია,
კიდევაც დამრჩა მრავალი
ძვირფასი სანატრელია
ისტორიკოსად გახდომა
ამბები მეთხზა ძველია,
მისთვის გავჩუმდი, რადგანაც
გახლავარ უსწავლელია.

ან. განჯის-კარელი.

ქართველი „შევარდნები“.

პარამიდა*)

*) ეს სურათი თუმცა მკრთალად გამოხატავს თ. ფილილის სათავად-აზნაურო გიმნაზიის „შევარდენთა“ სირაუქეს, მაგრამ ვეცდებით ახალგაზრდა მხატვრის ნიჭის წასაქეზებლად.

აირია მონასტერი

ტრაგედია ერთ მოქმედებათ.

(მოქმედება სწარმოებს ქ. გორში. კლუბის დარბაზი ხალხით გაჭედილია. სჭარბობენ მანდილოსნები. კრება მღელვარებს. შესავალ კარებთან ჩასაფრებულია ცეცხლის მქრობელთა რაზმი).

პროლოგი.

ქართულ საქმეს რო დაიწყებ
გაიხედავ...
უცებ ხათა!
საცა იყოს და არ იყოს
გამოხტება
შავი კატა,
კუდს გამოჭკრავს და რამდენიც
არ უძახო;
აცხა! აცხა!!
არ დასტოვებს თუ ის საქმე
საგრძნობლათ
არ დაამარცხა.

ეშმაკი.

მომქმედნი პირნი.

ქ-ნი ანასტასია.
ქ-ნი ელენე.
ქ-ნი სულიკო.
ქ-ნი მაშიკო.
ქ-ნი ანეტა.
ქ-ნი სოფიო.
ქ-ნი ცქვიტი.
ქ-ნი გვრიტი.
ბ-ნი ჩიტი.
ბ-ნი შაქრო.

მანდილოსნები, სუფრაჟისტკები, გარეშე მაყურებელნი და სხვა.

—

ქ-ნი ანასტასია. (აღელვებული ხმით მიმართავს საზოგადოებას). ბ-ბო! მე მინდა აქ დამსწრე საზოგადოებას გავაცნო იმ უთანხმოების ისტორია, რომელიც ჩამოვარდა თავმჯდომარის და გამგეობის შორის. იყო და არა იყო რა ღვთის უკეთესი რა იქნებოდა! იყო ერთი საზოგადოება, სახელად „მანდილოსანი“. (იწყება ჩოჩქოლი. შიგა და შიგ გაისმის პროტესტი: არ გვინდა! გაარეულეთ! ძირს!!).

ქ-ნი სუდაკ. (ძლიერი ენერგიულობით). თქვენ ვინ მოგცათ ლაპარაკის ნება? ... (ბრალდება ღელვანდელი კრება? (გაისმის მხურვალე ტაშის გრიალი და ყვირილი: კრება უკანონოა! უკანონო!!!)

სუფრაჟისტკა № 1. (ხელების ქნევით და მარიფათიანად) სად არიან ჩვენი გამგეობის წევრები? მე მხოლოდ ორიოდ პირს ვხედავ. („უკამანდრებს“) გამგეობა! მარშ სცენაზე! (გამგეობა როგორც ერთი კაცი ცერემონიალური მარშით სცენაზე ადის).

სუფრაჟისტკა № 2. ბ-ბო! მე საჭიროთ მიმაჩნია, რომ კრებამ წესიერების დასაცავად თავმჯდომარე აირჩიოს. მე ვასახელებ ქ-ნ ელენეს. (გაისმის მხურვალე ტაშის ცემა).

ქ-ნი ანასტასია. მე პროტესტს ვაცხადებ!

სუფრაჟისტკა № 3. მე კიდევ ვასახელებ ქ-ნ კნეინა თაფლოს.

სუფრაჟისტკა № 4. მე ჩემის მხრით ვასახელებ ბ-ნ შაქროს. თუ ის არ აირჩიეთ, თავს მოვიკლავ! (იღებს რევოლვერს და აპირებს თავის მოკვლას, მაგრამ იარაღს ხელიდან გამოსტაცებენ).

სუფრაჟისტკა № 5. (ქოლგასა შლის და ლეკურსა თამაშობს). კრება უკანონოა! არ გვინდა თავმჯდომარე!!.. (გაისმის ტაშის გრიალი).

ქ-ნი ანასტასია. ბ-ბო! ვინა ხართ იმის მომხრე, რომ თავმჯდომარე ავირჩიოთ? (დგებიან სუყველანი და ისევ სხდებიან).

სუფრაჟისტკა № 5. ბ-ბო! გთხოვთ ეხლა ჩემ წინადადებას უყაროთ კენჭი!

ქ-ნი ანასტასია. ბ-ბო! ვინა ხართ მომხრე, თავმჯდომარე არ ავირჩიოთ? (დგებიან სუყველანი. გაისმის საშინელი ხმაურობა. არ გვინდა თავმჯდომარე! გვინდა თავმჯდომარე! ავირჩიოთ! ნუ ავირჩევთ! აღელვებისგან დარბაზში ცეცხლი ჩნდება. მქრობელი რაზმი შემოდის და აქრობს.)

ქ-ნი მაშიკო. (ნაზათ) ბ-ბო! გთხოვთ წესდების 41 მუხლს მიაქციოთ ყურადღება. (კითხულობს) ...„კრება კამნინერია მაშინ, თუ მას წევრების $^1/_3$ დაესწრება“...

ბ-ნი ჩიტი. (აღტაცებით). ბ-ბო! მე პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ ყოველივე წესდებისა. სულ სხვა იქნებოდა რომ ჩვენი საზოგადოება ავტოკეფალური იყოს და არა ავტო კეკე ქალური. მაშასადამე აქ ყველაფერი კანონიერია.

სუფრაჟისტკა № 6. (გამოსტაცებს წესდებას

ქ-ნ მაშიკოს და განაგრძობს იმავე მუხლის კითხვას გასაოცარი ზრდილობიანი კილოთი). ბ-ბოl 41 მუხლი ბრძანებს, რომ... (გაისმის სიცილი).

ქ-ნი ანსტასია. (კითხულობს წესდებას). ბ-ბო! გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ წესდების 56 მუხლს! (ამის შემდეგ თავიდან ბოლომდე კითხულობენ წესდებას გამგეობის ყველა წევრები სათითაოდ).

სუფრაფესტკები. (ერთად) თქვენ წესდება სახლში უნდა გესწავლათ და არა აქ. გთხოვთ აირჩიოთ თავმჯდომარე. (ირჩევენ ქ-ნ ელენეს..)

ქ-ნი ანსტასია. მე პროტესტს ვაცხადებ!..

ქ-ნი ელენე. ბ-ბო? ვიდრე! ვიდრე მე ჩემი მოვალეობის აღსრულებას შეუდგებოდე, ვთხოვ გამგეობის თავმჯდომარეს, ქ-ნ ანსტასიას გადმომცეს ემ საათში ოქმები და საერთოდ მთელი საქმეების წარმოება.

ქ-ნი ანსტასია. დიდის სიამოვნებით, მაგრამ მე მთელი ოქმები მდივანს გადავეცი.

მდივანი. მართალია, მაგრამ მე ჩემის მხრივ ქ-ნ ნინოს გადავეცი.

სუფრაფესტკა № 6. (ზრდილობიანად) ბ-ბო! ეგ ოქმები მთელი ორი თვე კანცელარიაში ბრძანდებოდნენ. შემდეგ ამისა ქ-მა თავმჯდომარემ მას კლიტე დაადო, რადგანაც ეშინოდა, რომ ოქმები არსად გაბარულიყვნენ. თუ არა ვცდები ეგ ოქმები ეხლა ქ-ნ მარიამს უნდა ჰქონდეს.

ქ-ნი ელენე. (მიმართავს ქ-ნ მარიამს შეკითხვით). ქ-ნო მარიამ! თქვენ ნახეთ ის ოქმები? რა უყავით?

ქ-ნი მარიამი. (ირონიულად). ქონიანი იყო და კატა მიარბენებდა. (გაისმის სიცილი).

ქ-ნი ელენე. ბ-ბო! გსურთ თუ არა, რომ ოქმების მოსატანად კაცი გავგზავნოთ კატასთან. (ერთხმად: „გვსურს“).

ქ-ნი ანსტასია. (აღელვებული). ბ-ბო! ვიდრე ოქმებს მოიტანდნენ, გთხოვთ სტაყვა მიბოძოთ.

ქ-ნი ელენე. მიირთვეთ.!!

ქ-ნი ანსტასია. ადამიანის ენა ვერ გამოსთქვამს ჩემს შეურაცყოფას. თემურ ლენგი, ჩინგის-ხანი, ატილა, ალა-მაჰმად-ხანი ანგელოზები არიან ამ გამგეობასთან შედარებით... (ამ დროს გამგეობის წევრები ხანჯლებს იძრობენ და იწვევენ ორატორისკენ. ქ-ნი ანასტასია განაგრძობს). იმ დღეს ქ-ნი სულიკო შემომივარდა საჩაიეში, ჯერ მაგიდას „კლონეკა“ ააფხრიწა და მერმე დახრჩობას მიპირებდა. ის იყო ჯოხი უნდა ეიღო ხელში და დაეცხო, მაგრამ მე თავს უშველე. ამას წინედ ეზოგადოების ხარჯით არიფანაც-კი გამართეს ბანკეტი. ეტლტმბა და მრავალ-ყამიერ შემოსძახეს...

ქ-ნი ანტა. (ბრისხანეთ). მე პროტესტს ვაცხადებ ფაქტების დამახინჯებისთვის. მრავალ-ყამიერ კი არა, ჩვენ ცანგალა გოგონას ვმღეროდით.

ქ-ნი ანსტასია. მე თქვენი პროტესტები ვერ შემაშინებს. მე დავაარსე „მანდილოსანი“. ჩემი საყვარელი ერისთვის. (ამაყად). მე... ჩემი... ჩემისა... ჩემსა... ჩემზე... ჩემითა... ჩემად... ჩემო...მე... კიდევ მე!.. (გაისმის მხურვალე ტაშის ცემა და პროტესტი).

ქ-ნი სუდაგო. ქ-მა თავმჯდომარემ ფაქტები გადამახინჯა. დაუკითხავათ მან 300 ფუთი პასკა მოიოწერა და „კრუტკებს“, სადაც ფულს ვაგროვებდით ბეჭდები ააგლიჯა. ეს პასკები დღესაც ისე ყრია საჩაიეში და სირცხვილით თავი ვეღარსად გამომიყვია, ყველა „ქრისტე აღსდგას“ მილოცავს...

ქ-ნი სოფიო. თქვე რომ 12 ფუთი კარაქი მომატაცეთ? რატომ ამაზედ აღარაფერს ამობთ?

ქ-ნი სუდაგო. თქვენ რომ „სპიჩკები“ დაარიგეთ? ჩვენი უთანხმოების მიზეზი ყველამ უნდა გაიგოს. ჩვენ წინააღმდეგი ვართ თვითნებობის. დეე თვით ხალხმა გაგვასამართლოს.

ბ-ნი ჩაქრო. (რიხიანად). მე არ შემიძლიან დავეთანხმო ამ სიტყვებს. უმრავლესობა რას მიქვიან? განა ჩვენ მუდამ უმრავლესობის ხმას უნდა დავემორჩილოთ? მაგალითებს მე ჩემი საკუთარი ცხოვრებიდან მოვიყვან. შარშან ხმოსნების უმრავლესობამ მე „უპრავიდან“ გამომაბრძანა... (გაისმის აქაიქ ჩურჩული: რა ჭკვიანია!!).

უცნობი ხმა. ბ-ნო შაქრო! თქვენ გესმით რაზედაც ლაპარაკობთ?

ბ-ნი ჩაქრო. (ჩაიცინებს). Странно! განა საჭიროა, რომ მესმოდეს?

სუფრაფესტკა № 4. (დიდის გრძნობით). ვაშა!..

ქ-ნი ელენე. ბ-ბო! ვისაც კიდევ ლაპარაკი გსურთ, გთხოვთ ფეხზე წამოდგეთ. (ყველანი დგებიან).

ბ-ნი ნატი. (ძალზედ ეხვეწება). თქვენი ჭირიმე მალაპარაკეთ.

უცნობი ხმა. ბ-ბო! მთელი დღე რომ ვილაპარაკოთ ჩვენ მაინც საკითხს ვერ გადავწყვეტთ. ამ კრებაზედ ძნელია იმის გამოკვლევა, ვინ არის მართალ-დამნაშავე. მე შემომაქვს წინადადება ავირჩიოს კომისია. (გაისმის მხურვალე ტაშის გრიალი).

სუფრაფესტკები. გაუმარჯოს კომისიას!!

მანდილოსნები. (გაკვირვებულნი). ქა? ვინ არის ე კომისია? ერთი დაგვანახეთ მაინც!

ქ-ნი ელენე. ბ-ბო! გთხოვთ დაასახელოთ კომისიაში კანდიდატები.

ხმები. ცქვიტი! ცქვიტი! (კენჭს უყრიან და აშავებენ).

ქ-ნი ცქვიტი. გმადლობთ, ბ-ბო! გაშეებისთვის. მე უარს ვაცხადებ... (არჩევენ კომისიას 5 მანდილოსნისაგან. არჩეულ იქმნა სუფრაკისტა № 4).

სუფრაკისტა № 4. ბ-ბო! მე კიდევ გიცხადებთ, რომ თუ კომისიაში ბ-ნი შაქრო არ აირჩიეთ, ემ საათში ან თავს მოვიკლავ, ან ყველას დაგხოცამთ. (იძრობს რევოლვერს. გაისმის პროტესტი: გაჩუმეთ! არ გვინდა! უეცრივ გავარდება დამშაჩა. საშინელი ჩოჩოლია. სუფრაკისტები ხანჯლებს იძრობენ, მანდილოსნები რევოლვერებს. გამგეობის წევრები შეიარაღებულნი ეკვეთებია თავმჯდომარეს).

ქ-ნი გვრიტი. დაიბერეთ!

ქ-ნი სუდიკო. (მიდის ქ-ნ ანასტასიასკენ და გულში ჩასცემს ლახვარს). მოკვდი, შე სასიზღარო!

ქ-ნი სოფო. (მიდის ქ-ნ სულიკოსკენ და ჩასცემს გულში ბებუთს). გაუმარჯოს შურის ძიებას! მოკვდი შენც მაგასთან... (თითონაც თავს იკლავს. გაისმის საზარელი ისტერიკის ხმა).

სუფრაკისტა № 5 (მიუბრუნდება № 4-ს) სუ შენი ბრალი კია შე საზიზღარო. (დახლის გულში რევოლვერს. ამ დროს დარბაზში შემოაქვთ ტყვიის მტყორცნელები და ელექტრის მქრობელი მანქანები. შეშინებული ხალხი გარეთ გარბის. დარბაზში შემოდიან მოწყალების დანი და სანიტარები, რომელნიც ბრძოლის ველზე დაჭრილებს კრეფავენ).

—

ეპილოგი.

(ბ-ნი სანგანიძე ზის „მანდილოსნის“ საჩაიეში და სწერს კორესპონდენციას „სახ. ფურცლისთვის“)

... მანდილოსნების კრებამ მშვენიერად ჩაიარა. სამაგალითო წესიერება სუფევდა. სწორეთ გასაკვირველია ის სოლიდარობა, რომელიც სუფევს გამგეობისა და მის თავმჯდომარის შორის. ვაშა ქართველ ქალებს! მადლობა... დიდი მადლობა ჩვენს დებს და დედებს. ვიცი ჩვენს „დასელებს“ ეს არ ესიამოვნებათ, მაგრამ მათი ღვარძლიანი გული შურის მეტს ვერასა გრძნობს. დამსწრე საზოგადოებას გული აუჩუყდა გორელ მანდილოსნების სოლიდარულ მუშაობით. ბევრს თვალთაგან კრიალოსნებად ასხმული ცრემლები ჩამოსდგომოდა..

P. S. დაწვრილებითი ცნობები შემდეგ.

ს. გ.

ნაღველა.

ეპიგრამა

პირველ ნაწილს შარადისას
ქალაქ გარეთ გამოვნახავთ,
ახლო მისვლა არ გვეპრრია
შორიდანაც დავინახავთ.

ფრინველები რო ბუდობენ,
და ნადირთა არის ბინა,
(სადაც გლეხმა სიცივის დროს
ხელში ცულით მიირბინა).

სამ ასოთი რომ ითქმება
და თავდება ასო ენ-ზე...
თუმც შარადის სისრულისთვის
ჩვენ გამოვცვლით ენ-სა ვენ-ზე.

მეორე კი ყვავილია,—
საამო და მიმზიდველი,
გაზაფხულის თანამგზავრი—
მით იმკობა ტყე და ველი.

აი, ჩვენი შარადისა
დასაწყისი, დასასრული;
ჩვენც ერთმანეთს გადავაბათ
და მივიღოთ სიტყვა სრული.

მით გამოვსთქვამთ ბედკრულ სახელს
ახლა ხშირად გასაგონსა,
სიცოცხლეს, რომ ემტერება,
საქმეს შვრება დასაღონსა.

პატარაა, საშიშარი
და განთქმული სიმძიმითა.
ამ ორ წელში ბევრი გული
დაიფლითა იმისგნითა...

ჩრჩილი.



სიღნაღის რამე-რუმე.

სარწმენო წყაროებიდან გავიგეთ, რომ სიღნაღის ქალაქის თავს, ნ. ამირხანოვს, „მადლიერი მცხოვრებლებში“ მომავალ არჩევნებში ისევ ასახელებენ ქალაქის თავათ. ასეთი აღფრთოვანება გამოუწვევია თვით ქალაქის თავის სიტყვას, რომელიც წარმოუთქვამს მაისის თვეში ერთ-ერთ კრებაზე, სახელდობრ: თავის თანაშემწის არჩევის დროს. იგი ფრიად ნიჭიერი კაცია და ევროპიულად გაწვრთნილი, მაგრამ რა საჭირო ჩემი ქება, აი თვით მისი ნათქვამი სიტყვა: „მე თქვენ ამომირჩიეთ, არა?! მაშ მე ქალაქის თავი ვარ და თქვენ კი, ხმოსნებო, ჩემი ფეხები*) მე როგორც გიბრძანებთ, ისე უნდა მოიქცეთ; ვისაც მე დავასახელებ ჩემს თანაშემწეთ, თქვენც ის უნდა ამოირჩიოთ, მორჩა და გათავდა“! ამ სიტყვამ დიდი ტაში და ვაშა გამოიწვია ფეხებში.

— ერთი სიღნაღელი სამხედრო მიმომხილველი იწერება, რომ სიღნაღის უპრავის შენობის მარცხენა მხარეს დიდი მზადებაა და ამ მოკლე დროში შეიძლება რაიმე ცვლილება მოხდესო.

მანდყოფილი.

ᲬᲘᲚᲘᲗ

უმადურს. თქვენი წერილი: „**ვაი მეგრუდი ენისაგან**“ არ დაიბეჭდება, ვინაიდან სამსონ დადიანი, თანმხლები მანდილოსანი და ცისფერ ტანისამოსიანი ხომ ყველანი მეგრული ენის მცოდნენი არიან და თუ მართლაც ისეთი არასასურველი რამ უსაყვედეს მეგრულის მცოდნეთ, ხომ თავის თავსაც იგივე შესთავაზეს.

ვინმე ᲩᲘᲐ-ს. სამწუხაროთ თქვენი ლექსები ჩვენს ჟურნალს არ უდგება; გბეჭდავთ მხოლოდ სახუმაროს.

*) რა თქმა უნდა მკითხველმა ეს წინადადება ისე კი არ უნდა გაიგოს, როგორც მაგალითად: თქვენ ფეხებზედაც არა მკიდიხართო. არამედ ისევე, როგორც ნათქვამია.

მანდყოფილი.

ენერი-ს. რუსები ამგვარ „ასცენას“ ეძახიან „ქარიშხალს ერთ ჭიქა წყალშიო“. „ასცენა“ ბ-ნ იოსეს გუნაძეზე ამდენი მელნის, ქაღალდის და დროს ხარჯვა?

„ქვიტირელ ფუტკარს“

„ამბს წინაზე ბიძაავ,
ბორბალებს კანიძრახეს
ბნედდებოდა სწორედ ამ დროს
შედგეთნე გაბეჭდესეს.
დაკოშლება არ აკმარეს
და კინებთ კაინტუმრეს!..

თუ **დაკოშლება** დანაშაულია, რა არის მედავითნის კოშლობა თქვენი ლექსის კოშლობასთან შედარებით.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

ბ. რედაქტორო! თქვენი ჟურნალის 20 ნომერის პირველ გვერდზე მოთავსებული კარიკატურა ძრიელ პროვოკატურულს წაგავს; ეს ერთი,— მეორე როდის ნახეთ თქვენ რომ სანჩო-პანჩო რაშ სომეხზე მჯდარიყოს, ის ხომ მუდამ ვირზე იჯდა, ამიტომაც ის ეხლაც ვირ-სომეხზე უნდა შეგეჯინათ.

როგორც გეტყობათ აქაც მორცხვებთ ეკიდებით ჩვენს „მოყვარე“ მეზობლებს.

პატივისცემით **ნიკ. კვიუინაძე.**

პატივცემულო ნიკ. კვიუინაძევ!

ჩვენი ჟურნალის 20 ნომერში მოთავსებულ კარიკატურას თავისი განსაზღვრული მიზანი ჰქონდა, რასაც ჩინებულათ მივაღწიეთ ის შეეხებოდა განვლილ საერობო თაობირს და მუნ ქართველ გლეხებზე მოჯირითე ქართველ თავად-აზნაურობას.

სომხობას ჩვენ სრულიადაც არ შეეხებივართ და არც ვირი მოგვიგვრია სანჩოსათვის. ჩვენ მხოლოდ ქართველი გლეხის ბედი გვაინტერესებდა და თუ კი თქვენ მაინცა და მაინც გსურდათ სანჩო ვირზე მჯდომარე გენახათ გამოგეგზავნეთ საკუთარი სურათი. ჩვენ ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერაფერი ამის მსგავსი ქართველ გლეხობაში ვერ აღმოვაჩინეთ.

პატივისცემით **ეშმაკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო სახლი.

კვირას 5 ივნისს 1916 წ.

სახალხო სახლის სცენის-მოყვარეთა მიერ **ნ. ჯავახიშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

ერთ საღამოს ორი პიესა

I

ნინოშვილის მოთხრობიდან გადმოკეთებული პ. ირეთელის მიერ.

ქრისტინე

დრ. 4 მოქმ.

II

რაც გინახავს ვეღარ ნახავ

კომ. 3 მოქმ. ა. ცაგარლისა.

დასაწყისი 8 ნახ. საათზე.

ადგილების ფასი 5—49 კ-მდე.

გამგე **ალ. ბადრიძე.**

განცხადება.

ფოთი. მდგომარეობათა გართულების გამო ჩვენმა საგენტომ თავისი რაიონის ოთხსავე კუთხეში დაიარსა განყოფილებები. კუთხის აპარატებს ეწოდება განსაკუთრებული სახელები: მაგ. **აპარატი 1-ლი „გონვედი“** ჩაიბარა მოხელე ბ-ნ „მხიფავი“-მ, რომლის მოვალეობას შეადგენს სასულიერო უწყებაში ჩადენილ ბოროტ-მოქმედებათა ძიება.

აპარ. 2-რე „მზვერავი“ ჩაიბარა მოხელე ბ-ნ „თვალთ-მაქცი“-მ, რომელსაც ევალება ერისგანთა და მოხელე მამაკაცთაგან ჩადენილ ცოდვებია აღნუსხვა.

აპარ. 3-მე „ლიაცი“-ს ხელმძღვანელობა იკისრა ქ-ნ „როკაპიმ“ რომელიც ჯოჯოხეთში განთქმულია მაძიებლობით და რომელსაც ევალება მანდილოსანთა შორის ფარულ განძრახვათა დაწვრილებითი გამოკვლევა.

აპარ. 4-ხე „თილისმა“ მიენდო დამსახურებულ მოხელეს ბ-ნ „გულთ-მისანს“, რომელიც იწინასწარმეტყველებს დაახლოვებით ერთი თვით, ან წლით ადრე, რაც უნდა მოხდეს მომავალში.

—პატივისცემით საგენტოს უფროსი **ბუტუნა.**

პროტესტი.

ჩვენ, გურიის ფაიტვნებსა, დელეეენებსა და ლინეიკებზე მომუშავე ცხენები, ენერგიულ პროტესტს ვუცხადებთ ჩვენს ხელმძღვანელ მეეტლეებს, რომელნიც, ათასგვარ ფიზიკურ უდიერობასთან ერთად, უზომო ზნეობრივ სატანჯველსაც გვაყენებენ.

განსაკუთრებულის ენერგიით მოვითხოვთ მოსპობილ იქმნას

ჩვენი მშობლების ცინიკური შეურაცხყოფა.

მუდამ წამს გვესმის **დედის გინება** ამა თუ იმ მეეტლისაგან, სრულიად დაუმსახურებლათ და უმიზეზოთ.

დროა ბოლო მოეღოს ამ უსამართლობას.

ერთი კოჭლი ცხენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულ-მოკლული ეშმაკი, ღრმად დამწუხრებული მორიელი, მარად ტანჯული ეკლარი, ძაძით მოსილი ლარი, ცრემლ შეუშრობელი გუგული, ბედშავი ონისიმე, საუკუნოთ დაობლებული გოგია და ბედის უმადური ბუტუნა უდიდესი გულისტკივილით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობართ უდროვო გარდაცვალებას დაუვიწყარი პრეზიდენტისა და აწ იმპერატორის

იუანშიკაისას

პანაშვიდები ყოველ დღე. (გარდა ორშაბათისა, სამშაბათისა, ოთხშაბათისა, ხუთშაბათისა, პარასკევისა, შაბათისა და კვირისა).

დაუყოვნებლივ საჭიროა

უცენზურო სიტყვათა ლექსიკონი

გამოუგზავნეთ ფასდადებით

ოსურგეთში: ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გამგეს.

უფასოდ, მუქთად!

ვასწავლით რევოლვერით სროლას

თელავის გულვარში

როცა სასეირნო ადგილი სალსით სავსეა.

მკვლელობისა და დასახიჩრებისათვის

ასეშხს არ ვაგებთ.

პატივისცემით: { ტიგრან ნარიმანოვი
ტუშკას ბიჭი ვართანა.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ



ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲛᲘᲖᲜᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

ნებადართულია სსმს. ცენზურისაკენ. სტამბა „შრომა“. რედაქტორ-კაბოშმ. თ. ბოლქვაძე.